

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო

უნივერსიტეტი



პლაგიატის განსაზღვრის მექანიზმები

ინსტრუქცია

2018 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წარმოდგენილი ინსტრუქცია განსაზღვრავს პლაგიატის არსს, შეიცავს პლაგიატის მონიტორინგის და თავიდან აცილების მექანიზმებს.

მუხლი 2. პლაგიატის არსი და შეფასება

2.1. პლაგიატობა:

- ა) აბზაცების, წინადადებების ან წინადადებების ნაწილების სიტყვა-სიტყვით გადანერა, ციტირების და წყაროს მითითების გარეშე;
- ბ) აბზაცების ან წინადადებების პერიფრაზირება წყაროს მითითების გარეშე;
- გ) სხვა ავტორის აზრის, ნამუშევრის, მონაცემების ან კვლევის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე;
- დ) ვებგვერდიდან ტექსტის ან ცხრილის დაკოპირება წყაროს მითითების გარეშე;
- ე) სხვა ადამიანის მიერ ზეპირად გამოთქმული აზრის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე;
- ვ) სხვა ავტორის მიერ მომზადებული ნაშრომის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე. სხვა ავტორის მიერ მომზადებული ნაშრომის გამოყენება არ ნიშნავს პლაგიატს, თუკი მიუთითებთ წყაროს და სწორად მოახდენთ ციტირებას ან პერიფრაზირებას. წყაროს მითითება მკითხველს აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში მოძებნოს თქვენს მიერ გამოყენებული მასალა.

2.2. თვითპლაგიატი:

საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად.

2.3. პლაგიატორი:

პირი, რომელიც სჩადის პლაგიატს, ე.ი. თავის ნაშრომში იყენებს სხის ნაწარმოებებს ავტორის მითითების გარეშე ან ითვისებს სხის ნაწარმოებებს.

2.4. პლაგიატის შეფასება:

- ა) პლაგიატი არაკეთილსინდისიერი საქციელია, რადგან პლაგიატის ჩამდენი სხვის საკუთრებას - ნამუშევარს ითვისებს;
- ბ) პლაგიატით ხდება სხვათა ნაშრომების გაუფასურება - პროფესიონალის ნაშრომის მითვისების/გამოყენების შემთხვევაში კონკრეტული პირის ნაშრომთან შედარებით სხვათა ნაშრომები, რომლებმაც თავად შეასრულეს სამუშაო, შესაძლოა ნაკლებად ღირებული ჩანდეს;
- გ) შპს თბილისის დავით არმასენებლის სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაცია გავლენას ახდენს ბაკალავრის/მაგისტრის ხარისხზე -აკადემიური არაკეთილსინდისიერება ზიანს აყენებს უმაღლესი სასწავლებლის რეპუტაციას და ამცირებს დიპლომის ღირებულებას;
- დ) პლაგიატობის ჩამდენი პირი/ პლაგიატორი ზიანს აყენებს საკუთარ თავს - არ სწავლობს, თუ როგორ გადმოსცეს საკუთარი აზრები საკუთარი სიტყვებით და შესაბამისად არ იღებს რელევანტურ რჩევებს ლექტორისაგან ან/და მეცნიერ ხელმძღვანელისაგან.

მუხლი 3. პლაგიატი, როგორც დასჯადი ქმედება

- 3.1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ და მონვეულ პერსონალს, სტუდენტებს ეკრძალებათ სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების მითვისება და გავრცელება ავტორის მიუთითებლად;
- 3.2. პლაგიატს ადგილი აქვს, როდესაც პირმა არ იცის, როგორ გამოიყენოს სწორად წყაროები, თუმცა არცოდნა არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან. როგორც წინასწარ განზრახული, ასევე უნებლიე პლაგიატი, ექვემდებარება დისციპლინურ სანქციებს.

მუხლი 4. პლაგიატის თავიდან აცილების მექანიზმები.

- ა) სხვა ავტორის მასალის გამოყენების შემთხვევაში, საჭიროა მიეთითოს წყარო. იმისდა მიუხედავად, ხორციელდება ციტირება, თუ ხდება პერიფრაზირება (გადმოსცემთ სხვის აზრს თქვენი სიტყვებით), ავტორის მითითება აუცილებელია. არ აქვს მნიშვნელობა, სად იპოვეთ პირველწყარო - ინტერნეტში თუ ენციკლოპედიაში;

- ბ) რამდენიმე სიტყვის ან წინადადების წყობის შეცვლა არ ნიშნავს, რომ პლაგიატს ადგილი არ ჰქონია. თუ აზრი ძირითადად იგივეა, რაც პირველწყაროში, საჭიროა მიეთითოს ავტორი;
- გ) აუცილებელია აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. როდესაც არ ხდება პირდაპირ ციტატის გამოყენება და ადგილი აქვს პერიფრაზირებას, რამდენიმე სიტყვის შეცვლა საკმარისი არ არის, თუნდაც ხდებოდეს ავტორის მითითება. პერიფრაზირებისას საჭიროა საკუთარი სიტყვებით აზრის გადმოცემა და არ იგივე სიტყვების და წინადადების წყობის გამოყენება, რაც პირველწყაროშია;
- დ) „ზოგადი ცოდნის“ ციტირება არ არის საჭირო. თუ ხდება იმ ინფორმაციის გამოყენება, რომელიც შეიძლება „ზოგად ცოდნას“ მივაკუთვნოთ, ანუ საზოგადოდ ცნობილია.

მუხლი 5. პლაგიატის მონიტორინგი

- 5.1. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს კვლევით საქმიანობის ეთიკურობას და დროული რეაგირება მოახდინოს აკადემიური და მონვეული პერსონალის, სტუდენტების ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე;
- 5.2. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში განმცხადებელი მიმართავს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომელიც უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანთან ერთად კონფიდენციალურად განიხილავს დაფიქსირებულ დარღვევას. ეჭვის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში იქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის სპეციალისტებით, როგორც სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისგან (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი) ასევე გარეშე პირებიდან.
- 5.3. კომისიას გამოაქვს შესაბამისი დასკვნა. კომისიის მუშაობა უნდა იყოს კონფიდენციალური და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაღვეს მეცნიერის/სტუდენტის რეპუტაციას.
- 5.4. კომისია ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე. კომისიის დასკვნის შესახებ ეცნობება დამრღვევ პირს (შემდგომში - დამრღვევი), ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს (კვლევის პროექტის სპონსორს, პროექტზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებს და ა.შ.).

5.5. დამრღვევ პირს უფლება აქვს საპასუხო სიტყვით წარსდგეს კომისიის წინაშე. იმ შემთხვევაში თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, უნივერსიტეტის რექტორი და შესაბამისი ფაკულტეტი აამოქმედებს მექანიზმს პირის რეპუტაციის აღსადგენად.

5.6. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სანქციები:

ა) მიეცეს გაფრთხილება. ავტორის ყველა სტატია გამოწვეულ იქნას და შემონმდეს პლაგიატის ან ფალსიფიკაციის თვალსაზრისით;

ბ) დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე;

გ) შეუწყდეს შრომითი კონტრაქტი;

დ) განთავისუფლდეს აკადემიური თანამდებობიდან;

ე) შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 6. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.

6.1. წარმოდგენილი ინსტრუქცია ძალაში შედის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე;

6.2. წარმოდგენილ ინსტრუქციაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.